ოთხშაბათი, 8 აგვისტო 1907 წ.

ისარი

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი პირველი—№ 172

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვიდ პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკ.—10 კ.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და სადამოს 5-დან 7-მდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ინახება ერთის თვით მეტ ხანს დიდი წერილები და მოთხრობები. წერილებით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.

თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція «ИСАРИ»

„ისარი"-ს ხელის მომწერთა საყურადღებოდ.

«ისარი»-ს კანტორა აცხადებს იმათ საყურადღებოდ, ვისაც ფული არ შემოუტანია, რომ გაზეთის გზავნა მოესპოთათ, თუ დროზე არ შემოიტანენ ხვედრ ფულს. პირველ აგვისტოდან გაზეთი მოესპოთათ: ტფილისში—ვისაც 4 მ. 50 კ. მეტი არ შემოუტანია, ტფილისს გარედ—ვისაც 4 მან. და 80 კ. მეტი.

პირველ აგვისტოდან წლის დამლევამდე გაზეთი ღირს: ტფილისში—3 მ. 50 კ. ტფილისს გარეშე—4 მ. საზღვარ-გარედ—5 მან.

ერთი თვით გაზეთი ღირს: ტფილისში 75 კაპ., ტფილისს გარედ—80 კაპ., საზღვარ-გარედ—1 მან. 50 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ადრესის გამოცვლა ღირს: ტფილისიდან ტფილისს გარედ ერთი მანეთი, სხვა ადგილას—ორი აბაზი.

კერძო სასწავლებელი პირველ ხარისხისა

(ლალურ-კლასიკური გიმნაზია)

ექვემდებარება საერო განათლების სამინისტროს.

ვ. ა. და ვ. ს. ლევანდოვსკეებისა.

სასწავლებელი შესდგება სამ კლასიან **„მოსამზადებელ სკოლისაგან"** სამბავშვო ბაღით, სამ კლასიან **„დასაწყისს სკოლისაგან"** და ხუთ კლასიან **„საშუალო სკოლისაგან"**.

✦ პანსიონი ვაჟებისათვის ✦

15 სექტემბრამდე მიიღებიან (განსაზღვრული რიცხვი) ვაჟები და ქალები „მოსამზადებელ სკოლაში".

1. სავალდებულოა პრაქტიკულად შესწავლა ფრანგული, გერმანული და ინგლისურ ენებისა; ვრცლად შესწავლა მათ. და საბუნებ. მეცნიერებათა; ადგილობრივ ენებისა, მუსიკისა და ხელოვნების შესწავლა სავალდებულო არ არის.

2. ბავშვთა გონებისა, ხასიათის და ნების აღზრდა; ინდივიდუალობის განვითარება.

3. ჯანმრთელობის შენახვა და ფიზიკური განვითარება ბავშვებისა: გიმნასტიკა, ატლეტიური სათამაშოები, სპორტი, მუშაობა ინგლისურ და ამერიკულ სკოლების სისტემისამებრ და ექიმების მეთვალყურეობით.

ცნობებისთვის მსურველმა 15 აგვისტომდე უნდა მიმართოს ტეხნიჩესკი ქუჩაზე დიდი მთავრის ქუჩის მახლობლად), ს. № 4. საქმე დღეებში 9 დან 11 ს. (10—6—10)

ექიმი

ე. ვ-ა შ ა კ ი ძ ე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.უ—00)

კბილის ექიმი

ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, —7 საათზე. ვერა, ოლგას ქუჩა, № 25. (0—154)

ექიმი

ა. ნ. დიასამიძე

კანის და ვენერიული. ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს დილით 9—10 ს. საღამოობით 6—8. ხუთშაბათსა და შაბათს დილით 9—10 ს. ყორღანოვის ქუჩა № 14.

ექიმი

ვ. ხ. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილ ს 9—11½. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

ბებილის ექიმი

ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მდივნისა. (36)

თვალის ექიმი

ზ. ვ. ცხვედაძე

დორპატის უნივერსიტეტის კლინიკაში ასისტენტად ნ მყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველდღე დილ. 9—1 ს. და საღ. 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა, № 31, სახლი სარაჯიშვილისა. (28—228—11)

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის

ფასი რჩეგისთვის 50 კაპ.

ბანის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად.

ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 საათამდე.

რუდენკო—შინ. ს ნეულ. კვირა 3—4 ს. 2—3 ს.

იანჩევსკი—ყურ. ყელ. და ცხვ. ყოველ დღე 2—3 ს.

ენუკოვი—ქირურ. ყოველ დღე 2—3 ს.

უალამქარიოვი—ქალისა და ბავშვისა, ყოველ დღე, 1—2 ს.

გორალეევიჩი. შინაგ. ყოველ დღე, 1—2 ს.

ოეთრაძე—კან. და ვენერ. ყოველდღე 1—3 ს.

ბოგოვსკი—შინ. შთაგონ. ყოველდღე 4—5 ს.

მონსე—ბავშვ. სამშ., ხუთშ., შაბ. 4—5 ს.

ექიმი ქალი ოიზელიანი:—ქალ. ორშ., ოთხ., პარ. და კვირ, 11—12 ს.

ბავლოვეკი—ქირურგ. ყოველ დღე 12—1 ს.

ნევზოროვა—კბილისა, ყოველდღე 11—5 ს. კვირ. 11—2 ს.

გოროდეცეი—მასსაჟი, ყოველ-დღე 11—4 ს.

რიდელი—სიფილ., კან., ვენ., ყოველ. 4—5 საათ.

ბიკარსკი კლინიკური ანალიზი.

ჩუდნოვსკინერ., სულ., გიპოზი ყოველდღე 4—5 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძების და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—ნ.—21)

ქუთაისში

კბილის ექიმმა მახარაშვილმა

განაახლა ავადმყოფების მიღება. (5—2)

ექიმი მატიუხოვი.

მიიღებს **შინაგან, სიფილისით, ვენერიულ** ავადმყოფებს და **ბავშვებს. ქიმიკო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი** ნახველისა, შარდისა, გონოკოვისა და სხვ. დილით 11—2 საათზე, საღამოთი 6—8 საათზე. სამხედრო საავადმყოფო, შესავალ პატარა ჭიშკარიდან. (60—ფოს.—60)

ელექტროთერაპიული

კ ა ბ ი ნ ე თ ი

მიხეულ გედევანიშვილისა

იღებს ნერვებით ავადმყოფთ დილის 12—1 ს. საღ. 6—7 ს. ვერაზე ყორღანოვის ქუჩა, 20. ტელ. 791. (25—ნ.—5)

ხონის სავაჟო პროგიმნაზია

დაბა ხონში დაფუძნებულია სავაჟო პროგიმნაზია, რომელშიაც წელს გაიხსნება მხოლოდ ორი მოსამზადებელი კლასი (უმცროსი და უფროსი) და პირველი პროგიმნაზიული. მოთხოვნილება შემომსვლელთათვის წლოვანობის და ცოდნის მხრით იგივეა, როგორც სამინისტროს სხვა პროგიმნაზიებსა და გიმნაზიებში. ვისაც ჰსურს შვილის მიბარება ამ პროგიმნაზიაში, უნდა შემოიტანოს თხოვნა ხონის სამასწავლებლო სემინარიის დირექტორის, ა. ბ. ჭიჭინაძის, სახელზე და თან წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები: ა) მეტრიკული მოწმობა დაბადებისა და მონათვლისა, ბ) მოწმობა იმისი, თუ რომელს წოდებას ეკუთვნის და გ) მოწმობა ყვავილის აცრისა. პირველ ენკენისთვიდან ხუთამდის იქნება გამოცდა მისაღებ ყმაწვილებისა, ხოლო ხუთს ენკენისთვეს დაიწყება სწავლა. (6—ჭ.—5)

გამოვიდა და ისყიდება ახალი წიგნი:

ჩვენი მწერლობა

სალიტერატურო ქრისტომატია საშუალო სასწავლებელთათვის.

ნაწ. I: მგზოანები.

ბიოგრაფიებით და ლექსიკონით.

შედგენილ-გამოცემული

ს. რ. ბორგაძის მიერ.

ფასი ულოთ **ათი შაური** იყიდება „ქ. შ. წ. კითხვის გამავრც. საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში (სასახლის ქუჩა, სათავად-აზნაურო ქარვასლა) და შემდგენელთან: ტფილისი, ვერა, არაგვის ქუჩა № 8, ეგაძის სახლი.

ფოსტა-ტელეგრაფის ადრესი: Тифлисъ. Арагвинская улица № 8, Сергѣю Романовичу Горгадзе.

ვინც შემდგენელისაგან ერდროულათ ათსა და მეტ ცალს იყიდის, თვითეული წიგნი დაეთმობა **ცხრა შაურად.** წიგნის მაღაზიებს წიგნი ეძლევათ ჩვეულებრივის 20%-ის დათმობით. (10—ნ.—4)

ნაძალადევის კომისიის

დ ა დ ე ნ ი ლ ე ბ ა

ნაძალადევის მიწის გამწესრიგებელმა კომისიამ (15 კაცმა) კრებაზედ ამა აგვისტოს 5-ს დაადგინა შემდეგი:

„1. დღიდან ამის გამოცხადებისა ადგილობრივ გაზეთებში, ერთი თვის ვადა ეძლევათ იმ პირთ, ვინც 1905 წ. დაიჭირეს ნაძალადევში, ლოტკის გორაზედ და კუჩენბახის მიდამოებში სამოსახლ-კარო ადგილები და დღემდის არც მესერი და შენობა აქვთ ზედ აგებული, არც საბუთის ქაღალდები უჭირავთ ხელში (ე. ი. არა აქვთ პირობის ხელშეკრულობა ქალაქის სამართველოსთან და მიწის გეგმა) და არც დაჭერილ მიწის შესახებ თხოვნა აქვთ მიცემული და იმათ, ვინც არსადა სჩანან, ჩამოერთმევათ ვადის შემდეგ დაჭერილი ადგილები და გადაეცემათ კანდიდატებს, რომელთა რიცხვი ამ ჟამად დიდია.

2. იმ პირთ, რომელთაც სამოსახლ-კარო ადგილები აქვთ დაჭერილი ნაძალადევსა, ლოტკის გორაზედ და კუჩენბახის მიდამოებში და რომელნიც თავიანთ საკუთრებად სთვლიან ამ ადგილებს, მაგრამ თვითნებობას იჩენენ და ფულის სიხარბისთვის კომისიის დაუკითხავად ჰყიდიან ადგილებს სხვა პირებზედ ერთი სამად, თუმცა თვით საბუთის ქაღალდები არა აქვთ ქალ. თვითმართველობისაგან, აეკრძალათ ამგვარი საქციელი და თუ ვინიცობაა რომელიმე არ დაეთანხმება კომისიის დადგენილებას, და თვითნებობის გზას დაადგა, მაშინ დაკავებულ მიწის მყიდველიც და გამყიდველიც ცარიელზე დარჩებიან და ის ადგილი გადაეცემა კანდიდატს.

3. ვისაც სურს ერთი თვის განმავლობაში კომისიის წინაშე გამოცხადება და თავის აზრის გამოთქმა (იმაზე, თუ რა მიზეზით ჰყიდის ადგილს, რატომ არ შემოღობა, რატომ არ ააშენა შენობა, რატომ აქამდის არსადა სჩანდა, რატომ პირობის ხელშეკრულობა და მიწის გეგმა არა აქვს დღემდის და სხ.), უნდა გამოცხადდეს ნაძალადევში სავაჭრო სამრეწველო კანტორაში ავჭალის ქუჩაზედ, № 291, სახლი ნატრაძესი". (2—1)

ტფილისის საკომერციო სასწავლებლის

დ ი რ ე ქ ტ ო რ ი

აცხადებს, რომ განმეორებითი ეგზამენები დანიშნულია შემდეგ დღეებში:

21 აგვისტოს: რუსული ენა I—VII კლ., ფსიხოლოგია მე-VII კლ. და არითმეტიკა ყველა მოსამზადებელ კლასში; **22 აგვისტოს**: არითმეტიკა და მათემატიკა I—VI კლ. რუსული ენა—მოსამზადებ. კლასში; **23 აგვისტოს**: ფრანგული ენა II——VII კლ.; ადგილობრივი ენები I კლ. და მოსამზადებელ კლას.; **24 აგვისტოს**—გერმანული ენა I—VII კლ. **25 აგვისტოს**: სამღვთო სჯული ყველა კლასში, ადგილობრივი ენები II—VII კლ., კანონთ მეცნიერება და საკომერციო გეოგრაფია VII კლ. **27 აგვისტოს** ისტორია, გეოგრაფია, ბუნების-მეტყველება და ფიზიკა ყველა კლასში, ქიმია და „ტოვარო ვედენიე" VII კლ., **28 აგვისტოს**—ბუხჰალტერია და საკომერციო არითმეტიკა VII კლ

მისაღები გამოცდა მოსამზადებელ კლასის უფროსს განყოფილებებში, აგრეთვე I კლასში მოხდება 27 და 28 აგვისტოს, ხოლო დანარჩენ კლასებში—იმ დღეებში, დღეებიც ზემოდ არის აღნიშნული განმეორებით ეგზამენებისთვის. (3—ნ.—2)

ბ ირექტორი საკომერციო სასწავლებლისა, გამგე **ვანთაშევის სავაჭრო სკოლისა**, აცხადებს, რომ სკოლა მოთავსდება კომერციულ სასწავლებლის შენობაში და მისაღები საკონკურსო გამოცდა მოსამზადებელ კლასის უფროს განყოფილებაში მოხდება 27 და 28 აგვისტოს. თხოვნის შემოტანა და საჭირო ცნობების მიღება სკოლის შესახებ შეიძლება კომერციულ სასწავლებლის კანცელარიაში (10—231—3)

ძმ. ნიკიტინების თეატრში

ოთხშაბათს, 15 ამა აგვისტოს,

სპარსეთ ს ქართველების

ოლამ ჭოსეინ ონიკაშვილის და ოლამ რეზა ხუციშვილის

პატივსაცემად და გიმოსათხოვარად გაიმართება სადღესასწაულო წარმოდგენა

ლალაფი

დრამა 5 მოქმ. სუმბათაშვილისა

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი აბაშიძე, კარგარეთელი, ნ. ჩხეიძე და ბ-ნნი ვ. აბაშიძე, ვ. გუნია, კ. ყიფიანი, იმედაშვილი, ივანიძე და სხ.

დასასრულ

დ ი ვ ერ ტ ი ს მ ე ნ ტ ი

ყ. ჭ. ონიკაშვილის და ყ. რ. ხუციშვილის მონაწილეობით

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ბილეთები იყიდება „წერა-კით. საზოგ. დოებაში".

ახალი გამოცემა „წერა-კითხვის საზოგადოების" (№ 76)

აკაკი

ი გ ა ვ - ა რ ა კ ე ბ ი

კრილოვისა

ახალი, სრული გამოცემა, მრავალი სურათით. წიგნში მოთავსებულია 154 იგავ-არაკი. ფასი 50 კაპ.

იყიდება ყველგან. საწყობი „საზოგადოების" მაღაზიაშია. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, книжный магазинъ Об—ва грамотности. (4—4)

ტფილისი, 8 აგვისტო

ბაქოში კვლავ დაიწყო მუშათა გაფიცვა! ეს ერთი კვირაა, ტელეგრაფს მოაქვს ახალ-ახალი ცნობები გაფიცვის გავრცელების შესახებ ნავთის სამრეწველო ქარხნებში. კვლავ დადგება კრიზი არა მარტო ნავთის მრეწველობაში და ბაქოს რაიონში, არამედ მრავალ სხვა სამრეწველო დარგში და რუსეთის სხვა და სხვა ადგილას, რომელთაც მჭიდრო კავშირი აქვთ ნავთის მრეწველობასთან. კვლავ დაიწყება ჩივილი მრეწველთა და კვლავ ჩავარდებიან გასაჭირში ბაქოს მრავალი ათასი მუშები. ესეთი ყოფა აგერ ათი წელიწადია მათემათიკურის სისწორით მეორდება ბაქოში, ასე რომ გაფიცვა გადაიქცა ნორმალურ მდგომარეობად, ხოლო მუშაობის ხანა რაღაც ანორმალურ მოვლენად ..

ამის მიზეზები უკვე ყველამ კარგად იცის: მრეწველებმაც და მუშებმაც, მთავრობამაც და საზოგადოებამაც. ბაქოს ნავთის სამრეწველო მუშების აუტანელი პირობები ყოველ მხრით არის გამოკვლეული, ბევრი ღონისძიებაცაა დასახელებული მუშაობის პირობათა გასაუმჯობესებლად და მუდმივ კრიზისის შესანელებლად; მაგრამ საქმეს არა ეშველა-რა... შარშან კიდევ სცადეს ბაქოს მუშებმა თავის მდგომარეობის გაუმჯობესება და წარუდგინეს მთავრობასა და მრეწველთ ვრცელი მოხსენება: 32 მუხლისაგან შემდგარი პროექტი სხვა და სხვა საჭიროება-მოთხოვნილებისა; ამ მოხსენებამ საერთო ყურადღება ჰიიპყრო, მთავრობაც კი დაფაცურდა. მაგრამ ამანაც უნაყოფოდ ჩაიარა და აი, კვლავ გაფიცვაც დაიწყო...

თავის დროზე ჩვენ გავაკანით მკითხველთ მუშების ამ შარშანდელ დღის ისტორია. პეტერბურგში მომხდარ ნავთის მრეწველთა კრებას მუშათა რამდენიმე წარმომადგენელმა წარუდგინა ხსენებული მოხსენება. მაგრამ მინისტრმა ფილოსოფოვმა მაშინ შესაძლებლად ვერ დაინახა მისი განხილვა, რადგან კრების საგანი იყო მხოლოდ „საწვავ მასალის გაიაფების" საქმის გაჭოკვლევა, და განსაკუთრებული კომისია შექმნა. ამ კომისიამ დაწვრილებით განიხილა მუშათა პროექტი, დიდათ საყურადღებოდ სცნო იგი, ბევრი მოთხოვნა სამართლიანად დაინახა, ბევრის აღსრულება აუცილებლად საჭიროდ დასახა და ბოლოს დაადგინა: უეჭველად მოკლე ხანში ბაქოს მოხდეს საერთო თათბირი მრეწველთა და მუშათა, რომელმაც უნდა კიდევ ერთხელ გადასინჯოს მუშათა მოთხოვნანი და იღონოს ღონე მათ დასაკმაყოფილებლად. თავის მხრით ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრო მუშების ქომაგად გამოვიდა და დიდის ამბითა და რიხით ურჩევდა მრეწველთ კრების მოხდენასა და მუშათა პროექტის აღსრულებას... მაგრამ მაშინაც ცხადი იყო, რომ მთავრობის ამ ახალ გამოსვლიდანაც მუშათა საკითხში არა გამოვა-რა, როგორც არაფერი გამოვიდა მარად სახსოვარ 9 იანვრის შემდეგ გამოსვლებიდან... ეს ცხადათ მტკიცება დღეს მთავრობისავე ოფიციალურ განცხადებიდან, რომელიც გაზეთ „კავკაზ"-ის კვირის №-შია დაბეჭდილი.

განცხადებიდან სჩანს, რომ კრების გამართვის ნებართვა კავკასიის უმაღლეს მთავრობას შარშან ოქტომბერშივე მიუცია და აი, იმ დროდან დღემდე, ე. ი. 10 თვის განმავლობაში, გრძელდება ჩვეულებრივი ისტორია ბიუროკრატიის უძლურ საქმიანობა-მოღვაწეობისა. 26 ნოემბერს ბაქოში შეკრებილან 30.385 მუშის დელეგატები; ამათ შეუდგენიათ წესი, როგორ უნდა მოხდეს არჩევნები მომავალ საერთო კრებისათვის. სხვათა შორის დაუდგენიათ, რომ ერთი დელეგატი უსაქმოდ დარჩენილ მუშებსაც უნდა ჰყავდეთ და ერთიც ნავთის მრეწველთა საბჭოს საკუთარ მუშებსაცაო. თავის მხრით მრეწველთ სწორედ ამ ორ პუნქტის შესახებ წინააღმდეგობა გამოუცხადებიათ; მთავრობასაც,—იმ მთავრობას, რომელმაც უაღრეს საჭიროებად გამოაცხადა კრების მოწვევა, მრეწველთა პროტესტი მიუღია მხედველობაში და სხვა საარჩევნო წესების შემუშავებას შესდგომია. მუშებს განუცხადებიათ, რომ სხვა საარჩევნო წესრიგს არ დაემორჩილებიან. ერთი სიტყვით, უნდა განმეორებულიყო შიდლოვსკის ცნობილ კომისიის ისტორია და დიდი საქმე უნდა ჩაშლილიყო მრეწველთათვის უმნიშვნელო მიზეზისა გამო. მაშინ მთავრობას განსაკუთრებული მოხელე გაუგზავნია ბაქოს „მრეწველთა და მუშათა მოსარიგებლად". მას მოუხდენია წინასწარი კრება მრეწველთა და მუშათა დელეგატებისა და ასეთის სიტყვით მიუმართავს: სულერთია, ყველა მუშები ხომ ვერ მიიღებენ მონაწილეობას მომავალ კრებაზე, წესიერ წარმომადგენლობის არჩევაც ძნელია; მაშ მოდით, რთგორც არა დელეგატებმა განიხილეთ არსებითად მუშათა პროექტი და გადასწყვიტეთ უსაჭიროესი საკითხებიო. ასეთ უცნაურ მოწოდებაზე და პატრიარქალურ თათბირ-მასლაათზე მუშების წარმომადგენლებს რასაკვირველია უარი უთქვამთ და დაშლილან. ამის შემდეგ მთავრობას კვლავ გადაუწყვეტია ისევ განზრახულ კრების მოწვევა და შესდგომია ისევ მის თადარიგს...

ეს საინტერესო ისტორია კიდევ ერთხელ გვიჩვენებს ბიუროკრატიის სრულს უძლურებას მუშათა კანონმდებლობის საქმეში. მას იმდენი გამბედაობაც-კი არა აქვს, რომ წინააღუდგეს მრეწველთა უსაფუძვლო კაპრიზებს და თვის მიერ მოწონებულ კრების მოხდენა მაინც მოახერხოს. მუშები ამის შემდეგ, ალბად, აღარ გაიმეორებენ თავის შეცდომას, აღარ გაიმეორებენ თავის ცდას და ისევ პირდაპირს ბრძოლას განაგრძობენ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და ბაქოს სამრეწველო რაიონში მუშაობის პირობათა შესაცვლელად. ახლად დაწყებული გაფიცვებიც ამას გვიმტკიცებენ.

ახალი ამგავი

✦ მაზრის უფროსის მოკვლის განზრახვა. 5 აგვისტოს ოზურგეთში განუზრახავთ მაზრის უფროსის ერმოლოვის მოკვლა. პეტ. დეპ. საგენტო ამ ამბავს

ასე გადმოგვცემს: ერმოლოვი თავის ცოლით მართლმადიდებელთა ტაძრისაკენ მიდიოდა. ამ დროს მას ყუმბარა ესროლეს. ერმოლოვიც და მისი ცოლიც მსუბუქად დაჭრილან. ერმოლოვი გამოჰკიდებია ბოროტ-გამზრახველთ და რევოლვერი დაუშენია. ამ დროს მოსულან სტრაჟნიკებიც და სროლითვე გამოსდევნებიან. ყუმბარის გადამგდებნიც სროლით უპასუხებდნენ. სროლაში უცაბედათ დაჭრილა გამვლელი ქალი და მოკლულ ყოფილა ერთი ოსმალელი. ეკლესიაში ხალხს თავზარი დასცემია; ერთი კიდეც მომკვდარა შიშისაგან. დაუჭერიათ ოთხი კაცი, რომელთაც აბრალებენ ყუმბარის გადაგდებას: ორი—იქვე ქუჩაში, სადაც ეს ამბავი მომხდარა, ორიც მერე—სახლში.

✦ **პოლიციელის მოკვლა.** 6 აგვისტოს შუადღისას, თაიროვის ქუჩაზე, უცნობებმა ორის ტყვიით მოჰკლეს სამსახურიდან მიმავალი გოროდოვოი ეგორ პანკრატოვი.

✦ **უბედურება რკინის გზაზე.** 5 აგვისტოს, შუადღისას, ყარსისკენ მიმავალი საქონლის მატარებელი, რომელიც ორ ლოკომოტივს მიჰყავდა, რელსებიდან გადავარდნილა. ერთი ლოკომოტივი დამსხვრეულა და დამწვარა; ხუთი ვაგონიც დამტვრეულა. მეორე ლოკომოტივზე მოკლულ იქმნენ მემანქანე კლეპაცკი და ორი სტუდენტი; პირველზე დაჭრილან მემანქანე ვარდანაშვილი და მისი თანაშემწე ჯესტიკი.

✦ **საქონლის ჭირი.** როგორც ახალ ქალაქის მაზრიდან იტყობინებიან, იქ საქონლის ჭირი გაჩენილა. შესაფერ ზომების მისაღებად ამ დღეებში იქ იყო საგუბერნიო საბეითლო ინსპექტორი.

✦ **ხოლერის წინააღმდეგ ზომები.** 9 აგვასტოსთვის დანიშნულია ტფ. ქალაქის სასანიტარო-სამკურნალოს საბჭოს კრება. საბჭო, სხვათა შორის განიხილავს შემდეგ საკითხებს: გადამდებ ავადმყოფობათა მსვლელობა ტფილისში; რა ზომები უნდა მიიღოს ქალაქმა, თუ ხოლერა ტფილისში გაჩნდა.

✦ **ნაძალადევის კომისიის დადგენილება.** ნაძალადევში მომწესრიგებელ კომისიას 5 აგვისტოს კრება ჰქონდა. კომისიამ დაადგინა: გამოეცხადოს იმ პირთ, რომელთაც 1905 წლიდან მიწის ნაკრები აქვთ დაჭერილი და დღემდე არა თუ სახლი არ გაუშენებიათ, ადგილის გეგმაც არა აქვთ და ქალაქის გამგეობიდან ხელშეკრულების ქალალდიც არ გაუტანიათ, რომ თუ ერთი თვის განმავლობაში არ გამოცხადდნენ და გეგმა და ხელ-შეკრულება არ აიღეს, ნაკრები ჩამოერთმევათ და კანდიდატებს მიეცემათ; კრებაზე გამოირკვა, რომ ზოგიერთი პირები ვისაც გეგმა არა აქვს, თავისს ნაკერს ყიდის სხვა პირზე. კრების დადგენილებით ამ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲐ

კამათი ეროვნულ საკითხის შესახებ ზრიუნის კონგრესზე.

(დასასრული *)

რეფერენტი **ზელიგერი.** გუშინ აღნიშნეს, რომ სიტყვა „დაცვა“ არ განსაზღვრავს იმ უფლებებს, რომელიც უნდა მიეცეს ეროვნულ უმცირესობათ. საქმე მარტო ის კი არ არის, რომ დაცულ იქმნას უმცირესობის უფლება ეროვნულ თავისებურობის შენახვისა და კულტურულ განვითარებისა. უმცირესობას, რასაკვირველია, თავის ინტერესები აქვს და უეჭველად უნდა განისაზღვროს მისი საზოგადოებრივი უფლებანი. ამიტომ „დაცვის“ მაგივრად ჩვენ ვიხმარეთ „უფლება“, რომელიც უნდა პარლამენტმა განსაზღვროს.

გუშინ ისიც იკითხეს, ვინ უნდა შეიმუშავოს კანონი უმცირესობისთვისაო. ჩვენ ვუპასუხეთ: პარლამენტმაო. ამ პასუხით არ დაკმაყოფილდნენ და იკითხეს, რომელმა პარლამენტმა, ეხლანდელმა თუ მომავალმაო? რასაკვირველია, ჩვენ არ გვინდა, რომ ასეთი რთული საკითხის გადაწყვეტა მიენდოს ეხლანდელ პარლამენტს, რომელსაც ქეშმარიტ დემოკრატიულ დაწესებულებისა არაფერი აცხია.

კამათის დროს გამოირკვა, რომ აქ ენის შესახებ ორი მიმართულება გაჩნდა: პირველნი ამბობენ, საჭირო არ არის იმის აღნიშვნა, რაც ცხოვრებაში უკვე განხორციელდაო, მეორე მიმართულების გვარი მოქმედება აღკრძალულია. ყოველი ცნობა ამ მიწების შესახებ მსურველს შეუძლიან შეიტყოს ნაძალადევში, ავჭალის ქუჩა, სახ. ნატრაძისა, № 291, და 10 ნაწილის ქალაქის სავაჭრო-სამრეწველო კანტორაში.

✦ **გრ. ვოლსკის შესახებ.** როგორც ბათუმიდან გვატყობინებს საკუთარი კორესპონდენტი, 7 აგვისტოდან ვოლსკის შესამჩნევი ცვლილება დაეტყო, თავს უკეთა გრძნობს. შეუპყრიათ ვინმე ჯაში, რომელსაც ბრალდება ვოლსკის დაჭრაში მონაწილეობის მიღება.

✦ **ვაგონები მსახურთათვის.** ამიერკავკასიის რკინის გზის უფროსის განკარგულებით, 4 აგვისტოდან რკინის გზების იმ მსახურთ, რომელნიც სეზონის ბილეთებით მოგზაურობენ, განსაკუთრებული ვაგონები დაეთმობათ ზოგიერ მატარებლებში. სხვა მატარებლებსა და ვაგონებში მოგზაურობა ამ ბილეთებით აკრძალულია, რათა დანარჩენები არ იყვნენ შევიწროვებულნი უადგილობით.

✦ **სახაზინო თეატრის დირექტორი.** ნაცვლად დათხოვნილ სამ დირექტორისა (უგ. თავ. ბ. გრუზინსკისა, ბ. ბ. აკიმოვისა და როგმესი) სახაზინო თეატრს ერთი დირექტორი დაენიშნა, სახელდობრ—პოდპოლკოვნიკი ვ. მ. თამამშევი.

✦ **კატორგიდან გამოპრვა.** 6 აგვისტოს პოლიციაში მიიყვანეს ერთი ძალზე მთვრალი კაცი, რომელმაც განაცხადა, არშაკ სარქისოვი ვარ, კატორგაში ვიყავი გაგზავნილი ალიხანოვის მოკვლისათვის, მაგრამ იქიდან გამოვიპარეო.

✦ **გაძარცვა.** 4 აგვისტოს, ჩრდილოეთ კავკასიაში მინერალნი ვოდასთან გაუძარცავთ საარყე დუქნის ფულის ამკრეფი. წაუართმევიათ 5,404 მანეთი.

✦ **დაპატიმრება.** ამ დღეებში ს. აბაშაში დააპატიმრეს ლევან კორძახია, გაიოს შოთაძე და კ. ქოიავა. პირველი ორი თავისს სახლში დააპატიმრეს, ხოლო უკანასკნელი გლეხთა ყრილობაზე.

✦ **რევოლვერის წართმევა.** 5 აგვისტოს, საღამოს 11 საათზე, ნაძალადევში პოლიციელს ვასილ ულანოვს ორი უცნობი თავს დაესხა. წაართვეს რევოლვერი და მიიმალნენ.

✦ **მკვლელობა.** 4 აგვისტოს, საღამოს 10 საათზე, ამაღლების ქუჩის ზემო ნაწილში, ელიზბაროვის სახლის პირდაპირ თავის სახლში მიმავალ მეეზოვეს ილია ნიკონოვს ვიღაც უცნობებმა რამდენჯერმე რევოლვერი ესროლეს და იქვე მოჰკლეს.

✦ **მაზრის უფროსის გადაყვანა.** დუშეთის მაზრის უფროსი ლოვენი გადაუყვანიათ ქუთაისს სამხედრო ბეგრის საგუბერნიო მმართველობის წევრად.

✦ **ტფ. გენ. გუბერნატორის განკარგულებით,** აეკრძალათ ტფილისის გუბერნიაში

მომხრეთ სწორედ იმის აღნიშვნა უნდათ, რაც ცხოვრებაში განხორციელდა. კომისიის წევრებმა საშუალო გზა აირჩიეს და საერთო ენის არჩევა მიანდვეს პარლამენტს. მაგრამ რათა პრინციპიალურად მაინც გამოგვეთქვა ჩვენი აზრი ამ საკითხის შესახებ, კომისიამ მიიღო პირველი ნახევარი მეხუთე მუხლისა იმ რედაქციით, როგორიც ჰქონდა მას პირველ რეზოლიუციაში. კომისიამ შეიტანა შესწორებულ ხუთ მუხლში ყველა ის შესწორებანი, რომელნიც გამოსთქვეს კონგრესზე. სიამოვნებით უნდა აღვნიშნო, რომ საქმე უფრო ადვილად მოეწყო, ვიდრე მე ვფიქრობდი, ვინაიდან ეს საკითხი მეტად რთულ და გახლართულ საქმედ მიმაჩნდა. გარდა ამისა, ისიც უნდა აღვნიშნო, რომ შესწორებული ხუთი მუხლი სრულიადაც არ ეწინააღმდეგება პირველ რეზოლიუციის იმავე მუხლების დედა აზრს. კომისიაშიაც ორმა მიმართულებამ იჩინა თავი.

ექიმი ლიბერმანი იცავდა იმ აზრს, რომ ჩვენ დაწვრილებით არ უნდა ავხსნათ და არ განვმარტოთ ძირითადი პრინციპები; ჩვენ მხოლოდ დაწვრილებით უნდა განვმარტოთ ჩვენი თვალსაზრისი ერთა შესახებ, რომელიც გამოთქმულ და აღიარებულ იქმნა ვენის კონგრესზე 1892 წელს. მეორე მიმართულებას იცავდა ამხანაგი კრიშტანი. დედა-აზრი ამ მიმართულებისა გამოთქმულია სამხრეთ სლავიანთა კომისიის რეზოლიუციაში. რეზოლიუცია მიღებულ იქმნა თითქმის ერთხმად. წინააღმდეგი აღმოჩნდა მხოლოდ კრიშტანი. კომისიამ ვერ მიიღო

ცხოვრეს: ს. ბობოვს, რომელსაც ჭბრალდება მთავრობის წინააღმდეგ მოქმედება და რომელსაც რეგოდვერი აღმოაჩნდა; გდეზერის სამრეცხაოს მუშებს გიორგი მამინაშვილს და სიდვესტრ ჩიგოგაძეს, რომელთაც ბაფიცვის მოწყობა ჭბრალდებათ.

✦ როგორც «ნოგ ცარ»-ს სწერენ სოფ. ჩრისტონიდან, იქ ერთი სასაცილო ამბავი მომხდარა. ამავე სოფლელი ვაჟი დაინიშნა სოფ. ერიდონელ ქალზე. ვაჟს, როგორც წესადა ჰქონიათ, გადაუწყვიტეს ურადი 600 მანეთი. ეს ამოდენა ფულის გადახდა ვაჟმა ვერ მოახერხა, და გადასწყვიტა ქალის ძალით მოტაცება. ერთ დამეს რამდენიმე კაცით დაეცნენ ქალს, მაგრამ სადაც ქალი ეგულებოდა, იქ მიაი დედა წოლილა, აუყვანიათ საჩქაროდ მძინარე დედა და გაუტაცნიათ სოფლის ბოლოში, იქ ნახეს, რომ დანიშნულ ქალის მაგიერ შეცდომით დედა მოუტაცნიათ. დედა, რა თქმა უნდა, გაანთავისუფლეს.

✦ 6 აგვისტოს, საღამოს 8 საათზე, სასტუმრო «ორიანტში» მრეცხავი ქალი ნატალია პოხომოვის ქუჩარს მეეზოვე ნიკიფორე პოხომოვს წასჩხუბებია. შემდეგ გაჯავრებულს საწამლავი დაულევია. პოხომოვისა უგრძნობლად საავადმყოფოში წაიყვანეს.

✦ 6 აგვისტოს, საღამოს 8 საათზე, არწრუნის ქუჩაზე მარიამ ნოვიკოვისას, როგორც თითონ განაცხადა, მოსამსახურე ქალმა მოჰპარა სხვა და სხვა ნივთები 820 მანეთისა და 12 მან. ფულად. მოსამსახურე დარია სერდიუკოვისა მიიმალა.

✦ 5 აგვისტოს ქუთაისის გუბ. რაჭის მაზრის მცხოვრ. ფილიპე ბერდიაშვილი 12 წლისა, ტივზე იდგა და რაღაცას რეცხდა. უცაბედად წყალში ჩავარდა და დაიხრჩო.

✦ 6 აგვისტოს, საღამოს 10 საათზე, გოგოლის ქუჩაზე № 68 ეზოში ვიღაც უცნობმა რევოლვერით ფეხში დასტრა ობერ-კონდუქტორის ცოლი ნატალია ლუცკოსი.

✦ 4 აგვისტოს რიყის ქუჩაზე მიმავალს ანტონ ჯორბილაძეს თავს დაესხა ვიღაც ალექსანდრე იარამოვი, 100 მანეთი წაართვა და მიიმალა.

✦ 4 აგვისტოს, საღამოს 8 საათზე, კოჟევენი ქუჩაზე მცხოვრებმა ვაჭარმა რასულ ალიევმა პოლიციაში განაცხადა, რომ, როცა შინ არ ვიყავი, 700 მანეთი ფული და 300 მანეთის ძვირფასეულობა მიმპარესო.

ᲞᲠᲔᲡᲡᲐ

„ქეშმარიტ რუსთა კავშირზე“ უცხოეთშიაც ალაპარაკდნენ. უკვირთ, რაოდენი უმეცრება ყოფილა კიდევ რუსეთში, თუ ასეთ შავ-ძალების ამოძრავება შესაძლებელი ყოფილაო. თან უკვირთ და ვერ გაუგიათ, რა დამოკიდებულება არსებობს მთავრობასა და „ქეშმარიტ რუსთა“ შორისო. გავრცელებული და გავლენიანი „ფრანკფ. ცაიტუნგ“-ი იმ აზრისაა, რომ უცნაურმა კავშირმა

სტოლიპინის მდგომარეობაც კი შეარყია. „ქეშმარიტ რუსთა“ კავშირი ერთის წლის წინად მხოლოდ სულიგანების ორგანიზაცია იყო, რომლის შემხვედრით შეიძლებოდა „პოგრომების» გამართვა, მაგრამ რომლის დათხოვნა და მოსპობა მთავრობას ერთ დღეს შეეძლო. დღეს კი ეს ორგანიზაცია პოლიტიკურ ძალად გადა-

---

საბრეთ-სლავიანთა კომისიის რეზოლიუციაში გამოთქმული პრინციპები ესრედ წოდებულ „თემის თეორიისა“. მიუხედავად ამისა, კრიშტანი მიემხრო გადაკეთებულ რეზოლიუციას.

ხელმეორედ უნდა დავუბრუნდე იმ აზრს, ვითომ ეროვნული საკითხი ჩვენ არ შეგვეხებოდეს. ჩვენი კომისია, რასაკვირველია, ამ ნიადაგზე ვერ დადგებოდა. ანგარიში რომ არ გავუწიოთ იმას, რაც არსებობს, ჩვენ დავემგზავსებით სირაქლემას, ამით კი მხოლოდ ზარალს მოვუტანთ მუშათა ინტერესებს. ეროვნული საკითხი ავსტრიაში მარტო ეროვნულ ბურჟუაზიულ პარტიების საქმე კი არ არის, არამედ იგი შეეხება ყველა ეროვნებას, რომელთაც, რასაკვირველია, მუშებიც ეკუთვნიან. მუშები დაინტერესებულნი არიან იმაში, რომ ერთა შორის ურთიერთობა როგორმე მოგვარდეს და ერთმა ერმა საზღვარი არ გადალახოს და მის გვერდით მცხოვრებ მეორე ერის უფლებანი არ დაარღვიოს. მეორე მხრივ, ეროვნულ საკითხის გადაწყვეტა მე არც ისე შორეულ საქმედ მიმაჩნია, რომ დღეს მასზე ლაპარაკს შეიძლებდეს უტოპია ეწოდოს. კომისიაში პირდაპირ განაცხადეს, რომ ეროვნული საკითხი ეხლავე უნდა განვიხილოთო, რომ მისი გადადება შეუძლებელია და მუშათა კლასი თხოულობს, რომ შეიცვალოს არსებული ეროვნული ურთიერთობაო. თუ კონგრესს სურს დღევანდელ მეტად რთულისა და გახლართულ საკითხის გადაწყვეტა, თუ მას სურს აღნიშნოს ის გზა, რომელზედაც

ბრფ. კავშირებს, თითქო „განსაკუთრებულ სურდეს კლასთა ბრძოლის გაძლავებაცა და უსაქმოდ დარჩენილთა გაძღარებაც.

***

მეორე [illegible] ერევნის გუბერნიიდან, ალბად შეცდომით, არჩეული მ. შახტახტინსკი ოფიციალურ „როსიაში“ მთავრობის წინაშე ბოდიშს იხდის თავის მხრივ და საზოგადოთ მაჰმადიანთა სახელით. მას გულით სურს, რომ

მთავრობამ შეიგნოს, რომ მაჰმადიანთა მიერ ორიგე სათათბიროში ცუდ დეპუტატების არჩევა უცაბედი შეცდომა იყო და იმის მაგივრად, რომ თვისი აზრი მაჰმადიანებზე დაამყარონ ამ უვარგის დეპუტატებზე, ხელი შეუწყეს მაჰმადიანთა განათლებასა და კულტურულ განვითარებას.

მაჰმადიანთა ფრაქციის პროგრამა არ შეეფერება მაჰმადიანთა არც ერთ საზოგადოებრივ ჯგუფის პოლიტიკურ მისწრაფებას; იგი პლაგიატია, მოპარულია მემარცხენე პარტიების პროგრამებიდან ბიგილოვისა, მედიევისა და ხანხოსკის მიერ, რომელნიც ჩემპიონები არიან **ყალბ** მაჰმადიანთა ყალბი რევოლიუციონიზმისა.

შახტახტინსკი მაჰმადიანთა გამოფხიზლებას შეცდომას უწოდებს და სტოლიპინის წინაშე ცოდვებს ინანიებს. როგორც ეტყობა, მაჰმადიანთა ერთ ნაწილს ჯერ ვერაფერი უსწავლიათ ისტორიისგან და ცოდვების მონანიებით, ბოდიშის მოხდითა და თავის მოდრეკით აპირობენ მაჰმადიანთა გაბედნიერებას. იმედია მაჰმადიანთა ერი, ან მისი შეგნებული ნაწილი შესაფერ პასუხს გასცემს შახტახტინსკისა და მის მიმდევარ სერვილისტებს და უფრო განავითარებს და გაამტკიცებს იმ მიმართულებას, რომელზედაც შესდგა უკანასკნელ ხანებში პროგრესიულ მაჰმადიანთა საზოგადოებრივი აზრი.

***

უკანასკნელ ხანებში რუსეთის ოპოზიციონურს პრესასა ეჭვისა და უიმედობის მატლი შეეპარა. ისე გაზეთს ვერ აიღებთ ხელში, რომ შიგ ერთი ან ორი წერილი არ იპოვოთ უკანასკნელ მოძრაობის დაფასების შესახებ. წამდაუწუმ ისმის, „გადავაჭარბეთ“, „ქარაფშუტულად მოვიქეცით“, „ჯერ უნდა აღებული პოზიციები გაგვემაგრებინა“, „ავჩქარდით, ავპილპილდით“ და სხ. უკან დახევასა და კონსტიტუციონურ პოზიციების გამაგრებას ქადაგებს „რეჩი“, მას მისდევენ ლიბერალური და რადიკალური გაზეთებიც. ერთი სიტყვით, „გამოფხიზლება“ დაიწყო. გამოფხიზლდა „ტოვარიშჩ“-იც, რომელიც გულახდილად აღიარებს: იმედები გაგვიცრუვდა, სიზმარი გაჭრა და ჩვენ წინ მხოლოდ ოცნების ნამტვრევები-ღა მოსჩანსო, მაგრამ მაინც იმედს არა ჰკარგავს, თუმცა „ისტორიული გაკვეთილები“, როგორც ეტყობა, კარგად შეუსწავლია.

დიახ, ჩვენ წინ დამტვრეული ვარცლია, ვინაიდგან ეროვნულ მშვიდობიანობას შოვინისტურ პარტიებზე უარესი მტერი არა ჰყავს. თუ ჩვენი მოთხოვნანი სავსებით დავიცავით იმ სახით, როგორც რეზოლიუციაშია გამოთქმული, ცხოვრებაშიაც შეგვეძლება ენერგიულად და მხნედ გავატაროთ ჩვენი პრინციპები. იდეია ინტერნაციონალურ სოლიდარობისა, რომელიც ასე ბრწყინვალედ განვახორციელეთ ჩვენს პარტიულ ორგანიზაციაში, უნდა გადაიქცეს ავსტრიის სახელმწიფოებრივ ცხოვრების ოფიციალურ ფორმად. ის, რაც შესაძლებელია ჩვენთვის, უნდა შესძლონ ავსტრიის ყველა ერებმა და კლასებმა“.

რეზოლიუცია მიღებულ იქმნა უკამათოდ ერთხმად. რამდენიმე წუთის განმავლობაში ტაშის კვრა და „ვაშას“ ყვირილი.

რეგერი პოლონელ დელეგატთა სახელით შემდეგ განცხადებას კითხულობს: „პოლონეთის დელეგაცია აცხადებს, რომ სოც.-დემოკრატიულ აარტიის დროშის ქვეშ შეკავშირებული პოლონეთის პროლეტარიატი იღვწის და იბრძვის მთელი ავსტრიის პროლეტარულ ორგანიზაციებთან ერთად. მაგრამ მის მდგომარეობას და განვითარებას ხელს უშლის ის გარემოება, რომ პოლონეთის ხალხი სახელმწიფოებრივ საღვრებით სამ ნაჭრად არის გაყოფილი, რომ შეერთებული ბრძოლა მთელი პოლონეთის პროლეტარიატისა ამით მეტად შებორკილია და სასტიკი ეროვნული დევნა გერმანიისა და რუსეთის მხრით ხელს უშლის პოლონეთის პროლეტარიატს საორგანიზაციო

ავსტრიის პროლეტარიატმა უნდა იაროს, თუ მას სურს ხელმძღვანელობა გაუწიოს ავსტრიის გონიერ და სასურველ განვითარებას, ავსტრიის ყველა ერთა ყველა დელეგატებმა ერთხმად უნდა გადასწყვიტონ და გამოსთქვან კონგრესის საზოგადო აზრი. დიდი მნიშვნელობა ექნება რეზოლიუციას, თუ იგი ერთხმად იქნება მიღებული. მე გთხოვთ, ამხანაგებო, ნუ მიაქცევთ ყურადღებას სხვა და სხვა შოვინისტურ პარტიების აზრს და ერთხმად მიიღეთ ეს რეზოლიუცია. ჩვენ რომ ამ ქვეყნად სამოთხეც დავამყაროთ, სულ ერთია, ჩვენი მოწინააღმდეგენი ეცდებიან იგი ჯოჯოხეთად გადააქციონ. ამიტომ ჩვენ ყურადღება არ უნდა მივაქციოთ მლადოჩეხებისა და გერმანელ ნაციონალისტების აზრს: ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ არსებულ პირობებს უნდა გავუწიოთ ანგარიში. ჩვენ მხოლოდ ის უნდა ვკითხოთ ჩვენს თავს, ვაუძლებს თუ არა მეცნიერულ კრიტიკას ის, რასაც ჩვენ ვთხოულობთ და შესასლებელია თუ არა მისი განხორციელება. ჩემის აზრით შეუძლებელი ჩვენს რეზოლიუციაში არაფერია. პირიქით, რომ ჩავუკვირდეთ ჩვენი მოთხოვნის დედა-აზრს, დავრწმუნდებით, რომ იგი ჩვენს მახლობელ მიზანს შეადგენს; მისი განხორციელება ეროვნულ მშვიდობიანობის დასამყარებლად არის აუცილებლად საჭიროც და შესაძლებელიც.

ამხანაგებო! ჩვენ იმ დღესაც მოვესწრობით, როცა ჩვენი მოწინააღმდეგენი მედგარ ბრძოლას დაუწყებენ ჩვენს რეზოლიუციასა და მასში გატარებულ პრინციპებს. ეს აუცილებელია, ბრფ. კავშირებს, თითქო „განსაკუთრებულ სურდეს კლასთა ბრძოლის გაძლავებაცა და უსაქმოდ დარჩენილთა გაძღარებაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

---

*) იხ. „ისარი“ № 170.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გდია,—სწერს მოძარქსისტე რადიკალთა ორგანო,—ილლიუზიებიც დაგვემსხვრა, მაგრამ განა შეიძლება იმის თქმა, ვითომ ადარაფერი დარჩენილა და ჩვენც ადარაფერი შეგვრჩენია? არ შეიძლება საზოგადოებრივ ცხოვრების გარეგნულ ფორმებს ისე მცრად ვუყურო, როგორც ზოგიერთები სწადიან. ის, რაც მოხდა და ცხოვრების ის ფორმები, რომელნიც ზევიდან ადიარეს, ფაქტია, რომლის მოსპობა შეუძლებელია და რომელსაც მარტო იმითაც აქვს მნიშვნელობა, რომ იგი არსებობს: ყველასთვის ცხადია, რომ რუსეთის ისტორიულ ფორმებში სამუდამოდ რადაც გადაბრუნდა და გაითხარა ისეთი ხაზი, რომელსაც ვედარავინ წაშლის.

მეტი არაფერი? ვერაფერი გამოფიზლებაა, თუ ხალხს ურჩევენ მოლა მასრადინასავით უკან დაბრუნებას და საზამთროს ქერქისა და კურკების აკრეფას, რომელიც მან ორიოდე წუთის წინ გადაყარა. გამოფიზლება, რასაკვირველია, კარგია, მაგრამ ცუდათ ყოფილა ჩვენი საქმე, თუ მარტო იმითღა უნდა ვინუგეშოთ თავი, რომ იურიდიულად რუსეთის ძირითად კანონებში სიტყვები გადააკეთეს და რაღაცას დაგვპირდნენ.

პატარა ფელეტონი

ჯიბე, ფეხის სოკო და სახელმწიფო სისტემა.

არა ერთხელ შეხვედრია თვითეულ ჩვენგანს საუბარი პოლიციის მოხელესა ან ადმინისტრატორთან, რომელსაც, სხვათა შორის, სევდიანი ღიმილით უთქვამს ჩვენთვის: „ვიცი, რომ ჩემი თანამდებობა სათაკილოა, მაგრამ რასა იქ: ცოლ-შვილი რანაირად უნდა არჩინოო?“

ამ სიტყვების მსმენელი რაღაც სიბრალულს ჰგრძნობს, კიდევაც თითქო ამართლებს თავის გულში ოჯახის რჩენით გამწარებულ სახელმწიფო მოხელეს. სიბრალული—ადამიანური გრძნობაა; გამართლებას კი, ჩემის აზრით, დიდი უგუნურება უდევს საფუძვლად. აბა თუ გავამართლებთ ისეთ ადამიანს, რომელიც ჩუმად ჯიბეში ხელ ჩაგვიყოფს, და, როცა ქურდობას შევამჩნევთ, გვეტყვის: „უკაცრავად, ცოლ-შვილის გაჭირვებამ მაიძულა თქვენი შეწუხებაო? ნუ თუ არ ვეტყვით, რომ ამ გაჭირვების ასაცდენად პირდაპირ უნდა მოემართა ჩვენთვის, ან პატიოსანი გზები უნდა ეძებნა, კეთილი მხნეობა უნდა გამოეჩინა ლუკმა პურის საშოვარად? როგორის თვალით შეხედავთ თქვენ ისეთ ადამიანს, რომელიც მთელ თავის სიმძიმით ფეხზე დაგაწვებათ ფეხის სოკოებს მწარედ აგატკივებთ და მერე გეტყვით, უნდა გამამართლოთ, რადგან ასეთი საქციელი ჩემი სხეულის სიმძიმემ მაიძულაო?

საქმე იმაშია, რომ ჩვენი ჯიბე და ფეხის სოკოები—ჩვენია, ისე შესისხლორცებული გვაქვს, რომ ამ მხრივ თვითეულ ნაკლსა და წყენას მკვეთრად ვგრძნობთ და არ ვამართლებთ ჩვენ მაწყინარ ადამიანს, და ამავე დროს არა მარტო ჩვენი ჯიბისა და ფეხის სოკოების, არამედ მთელი ჩვენის სულისა და სხეულის მაწყინარი სახელმწიფო წყობილება, რომლის უმთავრესი ჩარხები—პოლიციელნი და ადმინისტრატორები არიან, ჩვენ გარეშე არის, ამიტომ ნაკლების ყურადღებით ვეპყრობით მას და ვამართლებთ იმის ჩარხების საქციელს.

აბა სინიდისის ქვეშ აღიაროს თვითეულმა ჩვენგანმა: მეტის ბზრუნველობით ეკიდება იგი თავის ჯიბეების შინაარსა და ფეხის სოკოებს, თუ გარეშე სახელმწიფო სისტემას? დღეში რამდენჯერ ჩავყოფთ ხოლმე ხელს ჯიბეში და გულის ფანცქალით იმის შიგანს ვიკვლევთ; საღამოობით კი ლოგინში, სანამ ძილს თავს მივცემდეთ, როგორის დინჯი ყურადღებით ვათვალიერებთ ხოლმე ჩვენი ფეხის თითებზე აბეზარ სოკოებს და ვცდილობთ როგორმე უწამლოდ და თავიდან მოვიშოროთ ისინი. რომელი ჩვენგანი იკვლევს ისე დინჯად ჩვენ გარეშე მავნე სახელმწიფო სისტემას, როგორც თავის საკუთარ ჯიბეს? სად არის ის ადამიანი, რომელიც ისეთივე ყურადღებით უკვირდება ამ აბეზარ სახელმწიფო წყობილებას და სცდილობს რამე უწამლოს მას და თავიდან მოიშოროს, ისე, როგორ სწამლობს და თავიდან იშორებს თავისი ფეხის სოკოებს?

ამიტომ სრულებით საკვირველი არ არის, რომ ჩვენ ვამართლებთ ჯალაბით შევიწროებულ პოლიციელებს, ადმინისტრატორებს და სხვა სახელმწიფო მოხელეებს, რადგან ისინი პირდაპირ, თვალსაჩინოდ ჩვენ ჯიბეს არ ეხებიან, პირდაპირ თავის ჯალაბით ჩვენი ფეხის სოკოებზე არ დადიან, არამედ ყველა ამას და ამაზე ბევრად უარესს სჩადის ის სახელმწიფო სისტემა, რომლის ნაწილებს ისინი შეადგენენ, რომელიც ჩვენ გარეშე არის და ამის გამო ჩვენგან უფრო ნაკლებ ყურადღებას იპყრობს.

წარმოიდგინეთ მთელი ტფილისის ქუჩებზე ჩამომწკვრივებული ადგილობრივი მკვიდრნი და მათი ფეხის სოკოებზე მოსიარულე და მათ ჯიბეში ხელის ჩამყოფი პოლიცია და ადმინისტრაცია. როგორ ჰფიქრობთ, ცხარე პროტესტს გამოიწვევდა თუ არა ჩვენ შორის ჩვენი მმართველების ასეთი საქციელი? ნუ თუ იმ გარემოებით ვამართლებდით იმათ, რომ მრავალ-რიცხოვანმა ჯალაბმა აიძულა ისინი ჩვენი ფეხის სოკოებზე ევლოთ და ჩვენი ჯიბეები გამოეკვლიათ?

მგონია, არა თუ არ გავამართლებდით ოჯახურ გაჭირვების მიზეზით, პირიქით ცხარე პროტესტით მივმართავდით იმის გამო, რომ არა მარტო ისინი, არამედ მათთან ერთად მთელი მათი ჯალაბი ყველას ფეხ-ქვეშ გვთელავს და სულს გვიხუთავს.

დასასრულ ვისურვებ, რომ თვითეული ჩვენგანი მეტ ს ყურადღებით მოექცეს ჩვენ მჩაგვრელ სახელმწიფო სისტემას, ვიდრე თავის ჯიბეს და ფეხის სოკოებს.

ი. ნაკაშიძე

პროვინციის ცხოვრება

სოფ. ერთაწმინდა (კორის მაზრა). ფერაფერი წედიწადი უდგებათ სოფ. ერთაწმინდელებს. გვალვამ მთლად გაანადგურა მთელი მინდვრების მოსავალი. ვისაც ორი კოდის მოსავლის იმედი ჰქონდა, ორი ჩანახიც არ მოსვლია. ადარც ბურის მოსავალი და ადარც ბირუტყვებისთვის ბზე და თივა! ადარ იციან, როგორ მოიქცნენ, ან თივანთ თავი როგორ გამოჰკვებონ ან ბირუტყვები როგორ შეინახონ. შიმშილობა აუცილებელია. დიდი ქება უნდა, რომ ერთმანეთის დახმარებით დვინობისთვის ბირველამდის გაჭიმეთ წლიური მოსავალი. ყანახებიც ფუჭდება, ეურძნის მტევანი ეხლავე ხმება და ისე მტევნები სტვივა. ეს დარდი და ვაი-ვაგლახი ვერ მოუნელებიათ, რომ ახალი ჭირი დაერთოთ. ბ-ნ ნ. ჯავროვი უნივის ერთაწმინდელებს ტეის გაჩეხს. ოცდა თერთმეტ იანის კორის მაზრის უფროსმა კორში დაიბარა ერთაწმინდიდან თორმეტი კაცი და გამოუცხადა (ნ. ჯავროვის თანდასწრებით), რომ მმგიდობიანად მოურიგდნენ ერთაწმინდელები ჯავროვსა და უზდონ ტეის გაჩეხა. ერთაწმინდელ თორმეტ კაცს პასუხად ის მიუცია, რომ ჩვენ ეხლა მორიგება არ შეგვიძლიან, დავეკითხებით ჩვენს სოფელს და როგორც ის იტყვის ისე მოვიქცევითო. მაზრის უფროს ერთი კვირა ვადა მიუცია პასუხის შესატყობინებლად. რადესაც ეს სამწუხარო ამბავი მოვიდა ერთაწმინდაში, მცხოვრებლები მეტის-მეტად შეწუხდნენ. საქმეებსაც თავი მიანებეს, არიან დარდსა და ვაი-ვაგლახში. ვედარ მოუფიქრიათ კვირამდისრა პასუხი მისცენ.

ბუჩქანდარა.

ახალციხე. 28 მკათათვეს ძველ ნაწიდში ე. მ-ისა და კ. გ-ძის თაოსნობით, ადგილობრივ სტ. მოუკარეებმა გამართეს იაფფასიანი სახალხო წარმოდგენა. წარმოდგენას ხალხი ბლომად დესწრო. შემოვიდა სულ 41 მან. 20 კ. ხარჯს კარეშე დარჩა 24 მან, რაიცა იმავე სტენის სასარგებლოდ იყო დანიშნული. ითამაშეს: კომედია „ცოლები დავკარგეთ“ და ვოდევილი „მოსადირე“. წარმოდგენამ გვარიანად ჩაიარა; თუმცა მოთამაშეთა უმეტესი ნაწილი პირველად გამოსულიყო სცენაზედ.

ამიერ-კავკასიის სომეხ კათოლიკეთა ახალი მმართველი აბრამიანი ამ ჟამად ჯავახეთში იმყოფება სარეგიზიოდ. იქიდან დანარჩენს ადგილებში წავა იმავე აზრით. როგორც დანამდვილებით კავიგეთ, თითეულს სოფელს 20 მან. ერთმევა მამა აბრ. თავის კზის ხარჯად. აბრამიანს თან ახლავს მდივანი მ. სერაბიძე მერაბიშვილი, რომელიც წინასწარ ეფთხილებს მასპინძლებს დაუმზადონ ის, რაც მამა აბრამიანს ეამება, წინააღმდეგ შემთხვევაში უმფროსისაგან დიდი საყვედური მოგელოდოთ. ეს ის მერაბიშვილი კახლავთ, რომელიც მარშანდარამდის ქართველ კათოლიკეთა მოსარჩლე იყო იყო და წინ უძღოდა კიდეც ქართველ კათოლიკეებს, რადესაც ესენი თხოულობდნენ სასულიერო საქმეებში აეტონომიას. დღეს კი რადგან სომეხ-კათოლიკეთა სამმართველოში ლუკმა ბური ეიჩინა, მათი წინააღმდეგი გახდა. როგორც გავიგე, ენას თურმე ეზიდება ქ. კათოლიკეთა მოქმედების შესახებ და მით ეფერხებს ქართველ კათოლიკეთა სურვილს.

25 მკათათვეს გვესტუმრნენ სპარსელი ქართველები. გამართეს სალიტერატურო დიდა, რასაც ხალხი ბლომად დესწრო. ხალხი კიდევ მეტი დესწრებოდა, რომ გამეგებინა გადაწყვეტით ადენიშნათ დრო „დიდისა“.

ქარცეცხლი.

წერილი ოლონეცკის გუბერნიიდან

(ე. პასკაია გუშა)

წინად პოლიტიკურ გადმოსახლებულებს უფრო შედარეთანად ვვეექცეოდა ადგილობრივი ადმინისტრაცია. ამ ბოლო დროს სასტიკი თვალყურის დევნება დაგვიწყეს. სოფელში ჩააყენეს ჯარი და სტრაჟნიკების რიცხვსაც მოუმატეს. გადმოსახლებულებს დღეში სამჯერ გვსინჯავენ. სინჯვენ, თუ საიდანმე მოგვივიდა ფოსტით ამანათი და წერილები. ხალხთან დიდხან სიარულის და ლაპარაკის ნებას არ გვაძლევენ, რადგან ეშინიანთ და პირდაპირ გვეუბნებიან: „თქვენ ხალხს გაასოციალისტებთო“.

ყოველი მხრიდან შეზღუდული ვართ, მაგრამ იმედს მაინც არა ვკარგავთ; მოველით მომავალს, თუ ნივთიერმა გაჭირვებამ არ გაგვტეხა. სახლიდან ხელმოკლეობის მიზეზით თითქმის ვერაფერს დახმარებას ვერ გვიწევენ.

დიდს მადლობას ვუძღვნით შემდეგ პირებს, რომელნიც ჩვენს გაჭირვებულს მდგომარეობაში შევიდნენ და ფულით თუ ქართულის გაზეთების გამოწერით დახმარება გაგვიწიეს.

ბაქოდან მივიღეთ: სოლომონ ინაკავაძისაგან 10 მ., არხიპ კერესელიძისაგან 4 მ., ლავრენტი კვალიაშვილისაგან 3 მ., კოტე გოგიჩაიშვილისაგან 1 მ., ალექსანდრე შოთაძისაგან 1 მ., თედორე აბაშიძისაგან 1 მ., ნიკოლოზ ქარუმიძისაგან 1 მ., მიხეილ დაუშვილისაგან 50 კ., სამსონ გურასპაშვილისაგან 50 კ., გიგო გოგიჩაიშვილისაგან 50 კ., და ლუკა ნიგოლითელისაგან 60 კ., ტფილისიდან მიხეილ ხოსროაშვილი გვიგზავნიდა ქართულ გაზეთებს: „წინ“-ს, „სინათლე“-ს და „ლახვარ“-ს. ყველა ამათ დიდ მადლობას ვუძღვნით.

თ. ლაღიაშვილი.

რუსეთი

✦ **პარტიების ცხოვრებიდან.** როგორც ვიცით, სოც.-დემ., შრომის ჯგუფი და სახალხო სოციალისტები მიმავალ არჩევნებში მონაწილეობას იღებენ. განზე გადგნენ მხოლოდ სოც. რევ.-ბი, რომელთაც ბოიკოტი გამოუცხადეს არჩევნებს. ამ პარტიის ზოგიერთა მეთაურებმა, „ტოვ.“-ის სიტყვით, ეხლა შეიგნეს, რომ ისეთ ხელსაყრელ დროს, როგორიც არჩევნებია, პარტია ჰკარგავს გავლენას და ხალხის ერთი ნაწილის ხელმძღვანელის როლს. მომავალ არჩევნებში ესერებს მოუხდებათ სხვა სოციალურ პარტიების წინააღმდეგ გალაშქრება, ეს კი უხერხული ნაბიჯია იმ პარტიისთვის, რომელიც ყოველთვის ერთად მიდიოდა მემარცხენე პარტიებთან. მრავალი ეს ერი ამ ჟამად ირყევა იმის გამო, რომ პარტიამ ნაჩქარევად გადასწყვიტა ბოიკოტი. ამბობენ, ვითომ შესაძლებელია, რომ არჩევნების წინ ეს-ერებმა მოიწვიონ პარტიული კონფერენცია, რომელსაც უფლება აქვს პარტიის საბჭოს დადგენილება უარჰყოს და მომავალ არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს.

— ამ დღეებში პერმის გუბერნიის კადეტებს კონფერენცია ჰქონიათ. კონფერენციაზე გამოირკვა, რომ პერმის გუბერნიაში მემარჯვენეთა გამარჯვება უზრუნველყოფილია.

— ვარშავაში დაარსდა რუსთა კავშირი გაიყვანოს. ამ კავ[illegible] ბიან ადგილობრივი [illegible] ვიხსენებთ, რომ ვარშავაში [illegible] რუსთა და ოქტომბრისტთ [illegible] ხეთქილება მოხდა, პროგრესისტების გამარჯვება ამ ქალაქშიაც უზრუნველყოფილია.

— ხმა გავრცელდა, ვითომ მთავრობამ ოქტომბრისტებს 800000 მანეთი მიაშველაო. ეს ძალიან იწყინეს ქეშმარიტმა რუსებმა და გამოძიებას შეუდგნენ. თუ მართალია ეს ამბავი, ჩვენც უნდა მოვითხოვოთ დახმარება და თუ არ მოგვცეს, მთავრობას ბრძოლა უნდა ავუტეხოთო, ამბობენ ქეშმარიტები. პარტიის მთავარ საბჭოს ორიოდე კაცისთვის მიუნდვია ამ საქმის გაგება.

— ამას წინად მოსკოვში დასრულდა პროფესიონალურ კავშირთა შეერთებული კონფერენცია, რომელმაც დაადგინა მომავალ არჩევნებში მონაწილეობის მიღება.

✦ **მბეჭდავთა კავშირის დაკეტვა.** მბეჭდავთა კავშირის დეპუტაცია მისულა პეტერბურგის გრადონაჩალნიკთან კავშირის დაკეტვის მიზეზის გასაგებად, მაგრამ გრადონაჩალნიკს არ მიუღია იგი. კავშირის დაკეტვის მიზეზად იმას ასახელებენ, ვითომ კავშირის გამგეობას გამოეცეს პროკლამაცია, სადაც მუშებს წინადადებას აძლევდეს, რომ გაფიცვის დროს დაამსხვრიეთ მანქანები, დაფანტეთ შრიფტი და შეიარაღებული გამოდით ქუჩაშია. ამბობენ, ეს პროკლამაცია პროვაკაცია არისო, და გამგეობას ასეთი ფურცელი არ გამოუციაო. მეორე დღეს გრადონაჩალნიკთან მისულა სტამბების პატრონთა დეპუტაცია, რომელიც თხოულობს, რომ მბეჭდავთა კავშირი ისევ აღდგენილ იქმნას, რადგან კავშირის არსებობის დროს უფრო ადვილია კონფლიქტის მოგვარება და ბრძოლა კაპიტალსა და შრომის შორის უფრო ნორმალურ კალაპოტში მიმდინარეობსო. ჯერ არ ვიცით, რა პასუხს მიიღებენ დელეგატები.

✦ **ახალი თხოვნა კაპიტალისტებისა.** ამას წინად ვწერდით, რომ პეტერბურგის მექარხნეთ საკუთარი წესდება შეუმუშავებიათ მუშათა დასაზღვევად. ეხლა რუსეთის გაზეთები შემდეგს იტყობინებიან: პეტერბურგის მექარხნეთა კავშირმა მოსკოვის საბირჟო კომიტეტს გაუგზავნა თავისი აზრი მუშათა დაზღვევის შესახებ. მექარხნენი იტყობინებიან, თანაუგრძნობთ მუშათა დაზღვევის იდეას, მაგრამ მისი განხორციელება დიდ სიფრთხილესა და წინ დახედულებას თხოულობსო. ამასთან მექარხნენი გულახდით იუწყებიან, რომ საამისო ხარჯს მომხმარებელს გავაწერთო, ე. ი. საქონელზე ფასს ავუწევთო და ზედ-მეტ შემოსავლით დავფარავთ ახალ ხარჯსაო. ამ რიგად, პირველ ხანებში ხალხს წელიწადში 3—4 მილიონი მანეთი გაეწერება.

✦ **ექსპროპრიატორთა დაპატიმრება.** „ნოვ. ვრ“. იუწყება, რომ მოსკოვში ექსპროპრიატორთა დაპატიმრებამ აღმოაჩინა, რომ ამ დღეებში დაპატიმრებულნი უშველებელ ექსპროპრიაციის მოხდენას აპირობდნენ. გეგმა ექსპროპრიაციისა ისეთი ყოფილა, რომ ავაზაკები რამდენიმე ასი ათას მანეთს გაიტაცებდნენ, მაგრამ აუარებელ ხალხსაც იმსხვერპლებდნენო. გარდა ამისა „ნოვ. ვრ“. იუწყება, რომ ამ ჯგუფს საქმის გასაკეთებლად საქმაოფული მიუღია ტფილისში უკანასკნელად გატაცებულ თანხიდან.

წერილი რედაქციის მიმართ

—:—

«ისარის» მე-154 ნომერში წავიკითხე ბ-ნ ჩომახიძის წერილი, რომელიც მთლად სიცრუეზეა აგებული. მე აქ არ შევუდგები დაწვრილებით წერილის გარჩევას, ამას მედიატორეებიც ნათლად გამოარკვევენ. მხოლოდ მინდა რამდენიმე ფაქტი აღვნიშნო, რომელსაც მე თითონ დავესწარი. 18 მარტს სოფლის სამართველოსთან, სადაც მთელი საზოგადოება იყო შეყრილი, ბ-ნი ჩომახიძე მოურიგდა მათ 3000 მ. და თანაც დასძინა—ჩემი აფთიაქი 5000 მ. მეტი ღირს, მაგრამ რადგან სოფელს უნდა, ამ ფასში უთმობო. ხალხმა დიდი ოვაცია გაუმართა მადლობის ნიშნად და აფთიაქამდის „ურას“ ძახილით მიაცილა. ამის შემდეგ სოფლის მიერ არჩეული თორმეტი კაცი პირობით შეეკრა ბ-ნ ჩომახიძეს. პირობაში, სხვათა შორის, ნათქვამია, რომ არჩეული პირები ვალდებულნი არიან ჩააბარონ 3000 მ. სამი თვის შემდეგ. ბ. ჩომახიძემ კი

მუშობას. ამიტომ პოლონეთის სოციალ დემოკრატია პოლონეთის დანარჩენ ხალხთან ერთად დაუღალელად იბრძვიან, რათა პოლონეთის ხალხი გაანთავისუფლონ სასტიკ ეროვნულ დაჩაგვრისაგან და რათა მომავალში ეროვნულად გაერთიანებული და თავისუფალი პოლონეთის ხალხი ჩაერიოს ერთა ძმურ ოჯახში.“

პოპი (თავმჯდომარე). კონგრესმა მხედველობაში მიიღო წაკითხული განცხადება.

ბრიუნის კონგრესის მიერ მიღებული რეზოლიუცია.

„რადგან ეროვნული შუღლი ავსტრიაში აფერხებს პოლიტიკურ პროგრესსა და გზას უკრავს ერთა კულტურულ განვითარებას, რადგან ეს შუღლი უწინარეს ყოვლისა გამოწვეულია ჩვენი საზოგადოებრივ წესწყობილების მოუწყობლობით და უფრო კი იმიტომ, რომ ეროვნულ ბრძოლის გაგრძელება საუკეთესო საშვალებაა გაბატონებულ კლასთა უფლებების გასამტკიცებლად და ხალხთა ქეშმარიტ ინტერესების დასაჩრდილავად,—

„კონგრესი აცხადებს, რომ:

„საბოლოო გადაწყვეტა ეროვნულ საკითხისა შესახებ ენათა თანასწორობისა ავსტრიაში არის უწინარეს ყოვლისა კულტურული საჭიროება და ამიტომ იგი წარმოადგენს პროლეტარიატის ერთ უსაჭიროეს საქმეს.

„ასეთი გადაწყვეტა საკითხისა შესაძლებელია მხოლოდ ქეშმარიტ დემოკრატიულ საზოგადოებაში, რომელიც აშენებული იქნება საყოველთაო, თანასწორ და პირდაპირ საარჩევნო უფლებაზე, იმ საზოგადოებაში, სადაც მოსპობილი იქნება ყოველნაირი ფეოდალური, იმპერიისა და ცალკე კუთხეთა უპირატესობანი, ვინაიდგან მხოლოდ ასეთ წყობილების დროს მუშათა კლასი, რომელიც ნამდვილი საფუძველია საზოგადოებისა და სახელმწიფოსი, შესძლებს თავ-ს მოთხოვნათა გამოხატვასა და შესრულებას.

„შენარჩუნება და განვითარება ავსტრიის ხალხთა ეროვნულ თავისებურობისა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა დამყარდება თანასწორობა და მოისპობა ყოველნაირი დაჩაგვრა. ამიტომ უწინარეს ყოვლისა უნდა უარყოფილ იქმ.ას სისტემა ბიუროკრატიულ სახელმწიფოებრივ ცენტრალიზმისა და ფეოდალური უპირატესობანი ცალკე ოლქებისა.

„მხოლოდ და მხოლოდ ამ პირობებში შეიძლება ეროვნულ წესრიგის დამყარება ავსტრიაში ეროვნულ შუღლის მაგივრად შემდეგ საფუძვლებზე:

1. ავსტრია უნდა გადაკეთდეს ეროვნებათა დემოკრატიულ კავშირის სახელმწიფოდ.

2. ისტორიულ პროვინციების მაგივრად უნდა შესდგეს ეროვნულად შემოფარგლული და თვითმმართველი ადმინისტრატიული ერთეულები, სადაც კანონმდებლობა და მართვა-გამგეობა ჩაბარებული ექნება ეროვნულ პარლამენტს, საყოველთაო, თანასწორ და პირდაპირ კენჭის ყრით არჩეულს.

3. თვითმმართველი ოლქები ერთ და იმავე ერისა შეადგენენ ერთ ეროვნულ კავშირს, რომელიც თავის ეროვნულ საქმეებს სრულიად ავტონომიურად განაგებს.

4. ეროვნულ უმცირესობის უფლებას უზრუნველჰყოფს საიმპერიო პარლამენტის მიერ გამოცემული განსაკუთრებული კანონი.

5 ჩვენ არა გვწამს არავითარი ეროვნული უპირატესობა, ამიტომ უარვყოფთ სახელმწიფოებრივ ენის მოთხოვნას. რამდენადაც საჭიროა საერთო ენა მიწერ-მოწერაში, ამას იმპერიის პარლამენტი გაარკვევს.

კონგრესი, როგორც ორგანო ავსტრიის ინტერნაციონალურ სოციალ-დემოკრატიისა, აღიარებს, რომ ამ პრინციპზე შესაძლებელია ერთა შეთანხმება.

პარტეიტაგი საყოველთაოდ აცხადებს, რომ:

მას სწამს, რომ ყოველ ერს აქვს უფლება ეროვნულ არსებობისა და ეროვნულ განვითარებისა;

რომ ამასთან ერებს შეუძლიანთ მიაღწიონ თავიანთ კულტურის პროგრესს მხოლოდ საერთო და მეგობრულ სოლიდარობით და არა ურთი-ერთ შორის წვრილმან შუღლით; რომ ყველაზე მეტად ყველა ერთა მუშები ცალ-ცალკე ერთა და მთელ სახელმწიფოს ინტერესთა დასაცავად უნდა მტკიცედ მიეკედლონ ინტერნაციონალურ საბრძოლველ ერთობის პრინციპს და ხელიხელ ჩაკიდულებმა აწარმოვონ თავის პოლიტიკური ბრძოლა.

ბაქოს ოლქიდან

(ალ. ბ-ნ)

ბაქოს ოლქში ბოლო ორ თვეში ბევრი ამბავი ატეხილა. ბევრ ადგილებში ბოლ-ბოლ ბოლ-ბოლ ბოლ-ბოლ

[illegible] ... ირები შეუგდეს ფულის [illegible]ას. დანიშნულ დროზე, ე. ი. 18 ივ[illegible], აცლობეს ბ-ნ ჩომახიძეს ფული მიეღო [illegible] ... ხელით [illegible], რადგან [illegible] ... ბ-ნ ჩომახიძეს [illegible] ... ფულის [illegible]. [illegible] ... ხიძეს უბრალო ზრდილობაც კი დაავიწყდა: ოთ[illegible] ... ოთახში თუ არა, [illegible] ... ერთმა იმათგანმა ცემაც-კი დამიპირა, მაგრამ იმ პირის შესახებ ჯერჯერობით გაჩუმებული ვარ. გთხოვთ მოახდინოთ საზოგადო ყრილობა **და** შეეკითხოთ ხალხს ამ საქმის შესახებ. შეამოწმეთ განაჩენი და აგრეთვე გავიგეთ, აქვთ თუ არა ნებართვა მთავრობისაგან ჩემი აფთიაქის შესყიდვისა. თუ ესენი არც ერთი არ აღმოჩნდა და ხალხმაც დაადუსტურა ჩემი სიტყვების სინამდვილე, გთხოვთ როგორც თქვენ ისე მთელ საზოგადოებას **განმათავისუფლოთ** იმ პირობისაგან". თანახმად ამ განცხადებისა, ბ-ნმა ბოქაულმა ამას წინად მოახდინა ყრილობა და შეეკითხა, თანახმანი იყვნენ ჩომახიძის აფთიაქის შეყიდვაზე თუ არა და ძალით ხომ არვინ გახდევინებდათ ფულსაო. ამ სიტყვების გაგონებაზა ხალხმა ერთხმად დაიყვირა, ჩვენ ყველას გვინდა და კიდევაც ნებაყოფლობით გადავიხადეთ ფულიო. მაშინ ბოქაულმა წინადადება მისცა ხალხს, ვისაც არ სურდა, ცალკე გასულიყო 1500 კაცში 5—6 კაცი გავიდა, მაგრამ ბოლოს იმათაც შერცხვათ და ხალხს შემოეურთდნენ. ამ დროს ბ. ჩომახსძე იქა ბრძანდებოდა; მოინდომა ხალხისთვის სიტყვის თქმა, მაგრამ ხალხმა არ ისურვა და ერთხმად მიაძახა, არა გვსურს თქვენთან ლაპარაკიო. ბ-ნი ჩომახიძე აფთიაქში დაბრუნდა. ყველა ეს მოხდა ბოქაულის და 15000 კაცის თვალის წინ. **გარეშე სოფლელი.**

P. S. საქმის გამოსაკვლევლად ბ-ნმა ჩომახიძემ იშოვა პარტიის რამდენიმე კაცი, რომელნიც ავრცელებდნენ ხალხში ხმ ს, ვითომ ჩომახიძემ მოიმოქმედა ეს პარტიულ მიზნის თანახმად, რადგან არავითარი კორპორატიულ დაწესებულებას ჩვენში ნიადაგი არა აქვს და არც ექნებაო. სამწუნაროდ, თითო-ოროლა ბრმა კაცი ჩვენშიაც მოინახება, რომელთაც ეს მართალი ჩგონიათ. **გ. ს.**

დეპეშა

(შეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

რუსეთში.

ნ ა გ ვ ი ს ტ ო.

ვოსკრესენსკი. მცირე იამსკის ქუჩაზე ადმოაჩინეს ს.-დემოკრატების საიდუმლო ბინა. სამი კაცი დააპატიმრეს.

ეირსანოვი. მიწის მომწესრიგებელმა კომისიამ 20,000 დესეტინა ადგილი, საგლეხო ბანკის მიერ შემენილი, მიჰყიდა კერძო პირებს, „ოპშჩინებს" და ამხანაგობებს.

ლოძი. ალექსანდროვის ქუჩაზე ტყვიით მოჰკლეს მუშა ქალი. ლოძის მაზრის სოფ. ტაროვაგურაში მძარცავებმა მოჰკლეს მეახალშენე ფრიმბერგი.

ეკატერინოსლავი. გლუხოვის მაზრაში სამი დღის განმავლობაში გაძარცეს მდვდელი პოკროვსკი, ლაბიშევის ხე-ტყის კანტორა და ერთი ეკკლესია. მდვდლის სახლში ოთხი კაცი დასჭრეს.

მარიუპოლი. ნავთ-სადგურის გაფიცულ მუშების წარმომადგენლებმა და ექსპორტერებმა მოლაპარაკება გამართეს და შეთანხმდნენ. მუშებს ქირა მოუმატეს. 3 აგვისტოს ნავთ-სადგურებში მუშაობა განახლდა.

სარატოვი. ცარიცინის მახლობლად გაფიცნენ ხე-ტყის სახერხ ქარხნების 300 მუშა. გაფიცულებმა განიზრახეს ძმუშავეთა თვის მუშაობის ძალით აღკვეთა ქალაქში შემოსვლაც დააბირეს, მაგრამ არ შეშლუმვეს.

ჩერნიგოვი. გროდნენის მაზრაში დააპატიმრეს სამი კაცი, აბრალებენ ვაჭრის გაძარცვას.

ვილნი. ტრაგედიმიტას მახლობლად ტოტა სადამოთი მოჰკლეს ჩკინის გზის მოსამსახურე. 31 ივლისს მოკვლეს ოთხი მუშა.

პეტერბურგი. [illegible] ... ფერცდება 25,000,000 მანეთისა.

ვარშავა. 3 აგვისტოს სადამოთი თეატრის ქუჩაზე ძლიერად დასჭრეს ბოქაულის თანაშემწე. 3 აგვისტოს ღამე უფადან 5 ვერსის მანძილზე გაძარცვეს ციმბირიდან [illegible] საფოსტო მატარებელი.

ლოძი. 3 აგვისტოს სადამოთი ოორგოვის ქუჩის ბოლოში მოჰკლეს ერთ მუშა. სრედნი ქუჩაზე დასჭრეს ერთი მუშა.

კალუგა. ყიზდრინის მაზრაში ბოლიციამ მძარცავთა ბრბო აღმოაჩინა. 14 კაცი სატუსადოში ჩასვეს, სამი ბრიანსკის მაზრაში შეიპყრეს, ერთი მოსკოვიდან დაიბარეს.

ყიზდრინის მაზრაში შემოდგომულ იქმნა გაძლიერებულ დაცვის წესები.

კრემენჩუგი. დაარსეს პარტიათა საერთო კომიტეტი. კომიტეტმა სათათბიროს არჩევნებს ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს. კომიტეტის წევრებად პროგრესიული ამომრჩევლები არიან.

პენზა. ლომოვის მაზრაში საგლეხო ბანკმა შეიძინა 7 მამული 16,919 დესეტინა ადგილი და მიწის მომწესრიგებელ კომისიას გარდასცა.

იაროსლავი. დემიდოვის ლიცეიში 400 კაცმა შეიტანა თხოვნა. უმეტესობა მათგანი სასულიერო სემინარიაში კურს დამთავრებულნი არის.

პეტერბურგი. გზათა მინისტრის ამხანაგად ხამყოფი სენატორი ივანიცკი დანიშნეს მიწის მოწესრიგების მთავარ გამგის ამხანაგად. ამ თანამდებობაზე წინად ნიკიტინი იყო.

სურაჟი. 3 აგვისტოს სადამოთი სოფ. გლუხოვკაში 12 კაცი თავს დაესხა საერობო უფროსის დუბლიანსკის სახლ-კარს. დუბლიანსკიმ ორი თავდამსხმელი მოჰკლა, მაგრამ დანარჩენებმა მოჰკლეს იგი და შენობებს ცეცხლი წაუკიდეს. ცეცხლში დუბლიანსკის გვამიც დაიწვა. უცნობებმა სროლა ასტეხეს და ახლო არავინ მოუშვეს. დასჭრეს სტაროსტას შვილი, წინ გაიერეკეს დუბრიანსკის ცხენები, მოკლულ ამხანაგთა გვამებიც თან წიიღეს და მიიმალნენ.

ჩერნიგოვი. ოსტროგოჟის მაზრაში მოჰკლეს ურიადნიკი. მკვლელი შეიპყრეს.

სად. კონოტოპის მახლობლად მოჰკლეს რკინის გზის სახელოსნის მუშა.

ეკატერინოდარი. ურუბსკინს სტანიცაში ბაზრობა დდეს ბრბომ მოჰკლა ერთი ავაზაკი, რომელსაც ცხენების ქურდობას აბრალებდნენ. არმავირში რამდენიმე შეიარაღებული კაცი მივ ა ბურმისტროვის სახლში და ანარქისტ-კომუნისტების სახელით ფული მოითხოვა. ამ დროს ბურმისტროვის სახლში შემთხვევით ორი კაცი მივიდა და მძარცავები რომ დაინახა, სროლა ასტეხა. მძარცველები გაიქცნენ, თან ისროდნენ. ერთი მათგანი დასჭრეს და შეიპყრეს, მეორე ბოლიციამ დააპატიმრა.

ხარბინი. სამხრეთ მანჯურიაში შავი ჭირი გაჩნდა. კაიჯოუში 16 კაცი მოკვდა. ჩრდილოეთისკენ მიმავალ მგზავრებს კუანჩენში შინჯავენ.

სიზრანი. ხოლერით ორი კაცი გახდა ავად. ერთი გარდაიცვალა.

პეტერბურგი. შავი ჭირის წინააღმდეგმა კომისიამ სტავროპოლის მაზრა, ქალაქი ასტრახანი, არხერეისკაია პოსელოვი და ატამანის სტანიცა ხოლერის მხრით საშიშრად გამოაცხადა.

ს[illegible]ში 2 აგვისტოს ავად გახდა 4 კაცი, ასტრახანში 5. ქალაქი შანჰაი ხოლერის მხრივ საშიშრად არის გამოცხადებული.

ვილნო. საქალაქოს საბჭომ 5000 მანეთი გადასდო ხოლერიან ავადმყოფთათვის ბარაკის ასაშენებლად.

ეკატერინოსლავი. ზემიერ პარტიათა წარმომადგენლებმა სამაზრო კომიტეტი დააარსეს და საზოგადოებას მიმართეს მოწოდებით, შეუერთდნენ ზემიერებს, რათა მესამე სათათბიროში კეთილ მოაზრე დეპუტატები გაგზავნოთ.

პავლოგრადი. ოქტომბრისტები საარჩევნოდ რუსთა კავშირს შეუერთდნენ.

პეტერბურგი. ფინანსთა მინისტრი საზღვარ გარედ წავიდა საქმოდ.

ბელოსტოკი. 4 აგვისტოს ნ. კოლოდოზის ქუჩაზე სამი ტყვიით დასჭრეს სადგურის კომენდანტი პოლკოვნიკი შრედერი. შრედერი 5 აგვისტოს გარდაიცვალა.

ლოძ. 4 აგვისტოს სადამოთი პეტრაკოვის ქუჩის ბოლოში ხუთის ტყვიით მოჰკლეს საიდუმლო პოლიციის აგენტად ნამყოფი ფრემელი.

ივანო-ვოზნესენსკი. სადგურ ვიჩუგას მახლობლად 11 კაცი თავს დაესხა ფოსტალიონს. წაართვეს 3,300 მანეთი.

ნოსნოვიცი. სადგურ ვენდენის მახლობლად ხუთი კაცი თავს დაესხა საავტიზო ფულის ამკრეფს, იგი მძიმედ დასჭრეს. იპოსი ერთი მხლებელი გაზაკი მოჰკლეს, მეორე დასჭრეს.

ნოვოროსიისკი. 4 აგვისტოს დამე 3-ზე უცნობებმა მოჰკლეს ბოლიციელი.

პოლტავა. პოლტავაში, მეზობლის სასაფლაოს მახლობლად თავს დაესხნენ მიმავალ ფოსტალიონს. ზრდილის დროს დაიჭრა ფოსტალიონი და ერთი ცხენი. ფოსტა ძარცულ[illegible]ა.

გროდნო. ბრესტ-ლიტოვსკში სამი კაცი გახდა ავად. ხოლერით არავინ გამხდარა. სამივე გარდაიცვალა.

7 აგვისტო.

ნიჟნი-ნოვგოროდი. საგუბერნიო სასნიტარო კომისიამ, გუბერნატორის თავმჯდომარეობით, ხოლერის წინააღმდეგ შემდეგი წესები შეიმუშავა: გაიყოს გუბერნია რამდენსამე ნაწილად და თითოეულში დაწესდეს სასანიტარო საზრუნველო, მონასტრებსა და სხვა ადგილებში დაარსდეს საქმიანი—თვალ-ყურ ს ნაგდები პუნქტები, დაუყოვნებლივ შეკეთდეს ფაბრიკა-ქარხნის საავადმყოფოები, მოეწყოს ხოლერის საწინააღმდეგო აცრა მსურველთათვის და აიძულონ სანიტარული კომისია მოიწვიოს ექიმები, მოამზადონ სანიტარები, და დეზინფექტორები, და გააძლიონ ქალაქის სადეზინფექციო ბიუროს მოსამსახურეთა რიცხვი.

ლოძი. 4 აგვისტოს ზაგრაინიკოვის ქუჩაზე მოჰკლეს ერთი მუშა, 6 აგვისტოს ძმიმედ დასჭრეს მეორე მუშა. ქალაქის ტყეში იპოვნეს ტყვიით მოკლული მუშის გვამი.

ვარშავა. გიტკოვსკის მოედანზე ათი კაცი თავს დაესხა სამს ბოლიციელს. ორი ბოლიციელი მოჰკლეს.

გროდნო. სოკოლკაში უცნობებმა ტყვიით მოჰკლეს სტრაჟნიკი.

ვოლოგდა. ქალაქის გამგეობის ყველა მოსამსახურე და ქალაქის თავი კლიუშინინ სამართალში მისცეს. მიზეზი 1905 წლის ოქტომბერში ქალაქის მილიციის დაარსება.

სახელმწიფო საბჭოს წევრნი კუდრიავსკი და კონოპლევი პასუხის გებისაგან გაანთავისუფლეს. ისინი სამართალში მიცემულნი იყვნენ როგორც ქალაქის აღმასრულებელ კომისიის წევრები 1905 წლის ოქტომბრის მოძრაობის დროს.

პეტერბურგი. ხოლერის მოლოდინში შესაფერ ზომების მიღებას შეუდგნენ პენზასა, ტვერსა, ვერხნე-დნეპროვსკსა, მინკინსა, ატკარსკსა, ყაზანსა და ტფილისში.

ოპატოვი. რადომის გუბერნიის სოფ. სენოში ხუთმა კაცმა გაძარცვა საარყე დუქანი. წაიღეს 248 მანეთი.

პოლტავა. რომენის მაზრაში ოთხი კაცი თავს დაესხა იარმუკაში მიმავალ ვაჭარს გეიტმანს. წაართვეს 3500 მანეთი. სამი კაცი შეიპყრეს და 1800 მანეთი უპოვნეს. დანარჩენი ფულიანად მიიმალნენ.

პოლტავაში გაჩნდა ციმბირის ჭირი მე-16 კაზაკთა პოლკში მოკვდა 27 ცხენი.

პეტერბურგი. ხოლერის წინააღმდეგ მებრძოლი კომისია აცხადებს: ტამოვის, კოსტროვმის, იაროსლავის გუბერნიები და ურალის ოდქი ხოლერის მხრივ საშიშოდაა ცნობილი. 3 აგვისტოს სამარაში ხოლერით ავად გახდა 10 კაცი; სულ სენის გაჩენიდან ავად გახდა 154 კაცი; 47 გარდაიცვალა. ასტრახანში 4 აგვისტოს ავად გახდა 11 კაცი, სულ 47, აქედან 15 გარდაიცვალა.

ჩერნიგოვი. სტაროდუმის ბოლიციამ აღმოაჩინა კარგად მოწყობილი მძარცავთა ბრბო. სხვათა შორის მათ მოკლათ ბოქაული ტხორჟევსკი, დასცემიან კარტუქენსკელ მდვდელს და ბევრი სხვა რამ ძარცვა-გლეჯა და მკვლელობა ჩაუდენიათ თურმე. 9 კაცი დააპატიმრეს იმათ რიცხვშია გამოძმიებლის საქმის მწარმოებელი და აქციზის მოსამსახურენი.

ციერაპოლი. კოჩუხოვკაში - მდიდარ ქვრივს და ებრეველს სახლში შეუვარდნენ. დასჭრეს თვითონ ქვრივი, მოჰკლეს მისი შვილი ქალი, ფული და ძვირფასეულობა დაიტაცეს და მიიმალნენ.

კელცი. ოლკუბსკის მაზრაში დამე მოდარაჯე ჯარსა და ბოლიციას ვიდაცეები შეჰხვდნენ. ბოლიციის მოთხოვნაზე—შეჩერებულიყვნენ, არა თუ არ გაჩერდნენ, ორ-სამჯერ გაისროლეს კიდეც. ჯარმა სროლა ასტეხა. ორი მოჰკლა, ერთი დასჭრა და ხუთი შეიპყრო.

სტავროპოლი. ქალაქის მივარდნილ უბანში, განმარტოებულ სადგომში აღმოაჩინეს ყუმბარების ლაბორატორია.

5 აგვისტო.

უ ც ხ ო ე თ ი

ბერლინი. ვინდგუნიდან აფრიკის ახალშენთა გუბერნატორმა ვინდიგისტმა დეპეშა გამოგზავნა: მორენგომ 400 კაცით 31 ივლისს გერმანიის საზღვარი გადალახა. კაბის გუბერნატორმა უპუნგტუს მაგისტრატს შეატყობინა, რომ მორენგო მომწყვდეულია. კაბის ახალ შენში ბრძანება მოვიდა, ან შეიპყრეთ მორენგო, ან გერმანიის სამფლობელოში გადალალეთ, თუ ინგლისის ტერიტორიაში შემოსვლა მოინდომა.

სოფია. ბოლგარიის დეპეშათა სააგენტო გადაჭრით აცხადებს, რომ მაკედონელთა მომქმედ რაზმებში არც ერთი ბოლგარელი ოფიცერი არ ეერევიაო.

ტანჟერი. ფეციდან მოსულ ცნობებით, ინგლიზელთა წინააღმდეგ მოძრაობა დიდი ... ...